პირველი ტაიმი არ ჰგავდა მეორეს

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 26 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “პეტროლული” (პლოეშტი) – 4:2 (3:0).

“დინამო”: კოტრიკაძე (კვასხვაძე); ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა, გ. სიჭინავა, ხელაძე; მელაშვილი, სმირნოვი, კალოევი, იამანიძე (ნიკოლაევი), მესხი (დათუნაშვილი).

“პეტროლული”: სვეტკუ; პახონცუ, ფრონია (ტაბარჯა), ნეოკშუ; დ. მუნტიანო, მ. მუნტიანო; ზახარია, ბადია, დრიდა, ა. მუნტიანო, ბონტაში.

მსაჯი: კ. ოსიპოვი (ლენინგრადი).

რუმინელი ფეხბურთელები გამოირჩეოდნენ ენერგიული თამაშით, სწრაფი ტემპით, ბურთზე დროული გასვლით, რასაც განსაკუთრებით ეფექტურად ახორციელებდა მარჯვენა გარემარბი ზახარია (№7). იგი სისწრაფის წყალობით ხშირად გამოდიოდა გამარჯვებული ხოჭოლავასთან ორთაბრძოლაში.

სტუმრების სწრაფმა ტემპმა აქტიური თამაშისათვის განაწყო მასპინძლებიც. მათ მიიღეს შემოთავაზებული ტემპი და პირველი ნახევრის განმავლობაში მატჩი საინტერესოდ მიმდინარეობდა. სმირნოვი კარგად შეეწყო დინამოელებს.

მესხმა წამოიწყო კომბინაცია მარცხენა ფრთაზე (საერთოდ უნდა ითქვას, რომ იგი აშკარად ჯობდა თავის აპეკუნს) და ბურთი თავზე “დაასვა” კალოევს. სტუმრები კვლავ გადარჩნენ, თუმცა მცირე ხნით. უკვე მე–7 წუთზე იამანიძის მიწოდებიდან მეკარის პირისპირ დარჩენილმა კალოევმა მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი – 1:0.

შუა ტაიმიდან მოედანს მთლიანად თბილისელები დაეპატრონნენ. მათ უპირატესობაზე მეტყველებს პირველი ტაიმის ანგარიში – 3:0.

შესვენების შემდეგ ძალთა გამოცდის მიზნით თბილისელთა რიგებში მოხდა ცვლილება. კოტრიკაძის ადგილი დაიკავა კვასხვაძემ, იამანიძისა – ნიკოლაევმა, მესხისა – დათუნაშვილმა, იამანიძისა და მესხის მოედნიდან გასვლამ მთლიანად შეუცვალა სახე მატჩს. ახლა არათუ იგრძნობოდა დინამოელთა უპირატესობა, არამედ ისინი დაჩრდილეს სტუმრებმა. ეს იგრძნეს მათ და უკვე მატჩის 59–ე წუთზე ბადიამ (№8) რუმინელთა შეუნელებელი იერიშების შემდეგ შეძლო პირველი საპასუხო ბურთის გატანა – 3:1.

თუ ამის შემდეგ დინამოელებმა კიდევ ერთი გოლით გაზარდეს ანგარიში, ამაში მთავარი დამსახურება მიუძღვის რუმინელთა მეკარე სვეტკუს. მან ხელიდან გაუშვა თითქმის დაჭერილი ბურთი და იგი კარში შეაგორა კალოევმა. მატჩის დამთავრებამდე ერთ წუთით ადრე ა. მონტიანომ გაიტანა ლამაზი გოლი და ეს საერთაშორისო მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით – 4:2.

ო. გელაშვილი.
28 ოქტომბერი, 1961 წ.